2023

ქუთაისის
უნივერსიტეტი

სტრატეგიული განვითარების სამსახურის

მონიტორინგის ანგარიში

შინაარსი

ქუთაისის უნივერსიტეტის შესახებ..... 2
სამოქმედო გეგმის მონიტორინგი..... 3
შეფასებების შეჯამება..... 4
სტრატეგიული მიმართულება 1..... 5
უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება; 5
სტრატეგიული მიმართულება 2..... 9
უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება; 9
სტრატეგიული მიმართულება 3..... 14
სასწავლო პროცესის განვითარება და სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება. 14
სტრატეგიული მიმართულება 4..... 20
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია. 20
სტრატეგიული მიმართულება 5..... 24
უნივერსიტეტის რესურსების განვითარება და ეფექტიანი მართვა. 24

ქუთაისის უნივერსიტეტის შესახებ

ქუთაისის უნივერსიტეტი პირველი კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა დასავლეთ საქართველოში, რომელიც 1991 წელს დაარსდა. უნივერსიტეტი აერთიანებს 2 ფაკულტეტსა და 8 აკადემიურ პროგრამას, ქუთაისის უნივერსიტეტი ახორციელებს სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მედიცინის და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტები. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ინგლისურ ენაზე.

ქუთაისის უნივერსიტეტი წარმატებით თანამშრომლობს წამყვან კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ევროპაში და აზიის ქვეყნებში. არის ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) წევრი, GUNi-ს ინოვაციური ქსელის ინსტიტუციური წევრი, Businet-ის გლობალური ქსელის წევრი ასევე ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE), აკადემიური წევრი.

ქუთაისის უნივერსიტეტი დაარსების დღიდან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში თანამშრომლობს 19 ქვეყნის 44-ზე მეტ უნივერსიტეტთან.

უნივერსიტეტში დაფუძნებულია ეკონომიკის და მედიცინის კვლევითი ინსტიტუტი და გამოიცემა საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი „ეკონომიკური პროფილი “.

ქუთაისის უნივერსიტეტი დასავლეთ საქართველოში პირველი უნივერსიტეტია, რომელიც არის ერასმუს+ ჟან მონეს აქტივობების გამარჯვებული და წარმატებით ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ სხვადასხვა ინსტიტუციონალურ პროექტებს.

უნივერსიტეტი ასევე გამარჯვებულია ჩინეთის განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონფუცის ინსტიტუტების პროექტში, რომელიც საშუალებას აძლევს უნივერსიტეტის აბიტურიენტებს შეისწავლონ ჩინური ენა და კულტურა.

ქუთაისის უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს ხარისხიან, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის განათლებას, მრავალფეროვან გაცვლით პროგრამებსა და პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებას.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქუთაისის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების 2020-2027 წლების გეგმისა და მის შესაბამისად გაწერილი წლიური სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშს 2022-2023 აკადემიურ წლის საანგარიშო პერიოდის მანძილზე.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავდა 2020 წელს დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, და უნივერსიტეტის მისიასთან და ხედვასთან სრულ ჰარმონიაში განსაზღვრავს უნივერსიტეტის და მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულების განვითარების ძირითად პრიორიტეტებს.

ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ მისი მისიის, დეკლარირებული ხედვისა და ღირებულებების შესაბამისად, სტრატეგიულ პრიორიტეტად განსაზღვრულია შემდეგი მიმართულებები:

- უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება;
- უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება;
- სასწავლო პროცესის განვითარება და სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია;
- უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვა და რესურსების განვითარება.

უნივერსიტეტის 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიის დოკუმენტს და განსაზღრავს საანგარიშო პერიოდის ამოცანებსა და მათ მისაღწევად შემუშავებულ ღონისძიებებს.

მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს სტრუქტურული ერთეულების მიერ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულების ხარისხის შეფასება, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, მათი ასახვა ძირითად მიგნებებში და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

მონიტორინგის ფარგლებში ხდება ამოცანებისა შესრულების პროგრესის მონიტორინგი კვარტლურად და საბოლოო წლიური შეფასება. ამ მიზნით, სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ თითოეულ პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულსა და პირს ეგზავნება სამოქმედო გეგმის შესაბამისად მომზადებული მონიტორინგის ფორმა, სადაც ახდენენ მათ მიერ შესასრულებელი ამოცანების შესრულების შეფასებას, აღნიშნულის ვერიფიკატორების წარმოდგენას, ამოცანის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი მიზეზების იდენტიფიცირებას. თვითშეფასების პერიოდის შემდეგ, ხდება უნივერსიტეტის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ვერიფიკაცია, ცვლადებსა და ინდიკატორებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების განსაზღვრა და ანალიზი. მონიტორინგის პროცესი არის ღია და მიმდინარეობს თითოეული სტრუქტურული

ერთეულისა და პროცესებზე პასუხისმგებელი პირის ჩართულობით, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია როგორც საბოლოო, ასევე შუალედური შეფასების ეტაპზე და აქტიურ სამუშაო რეჟიმში წარმოადგინონ საკუთარი ხედვები შეფასებებთან დაკავშირებით.

საბოლოო ანალიზის საფუძველზე ყველა ღონისძიებას ენიჭება შესრულების შესაბამისი სტატუსი: შესრულებულია სრულად, შესრულებულია მეტწილად, შესრულებულია ნაწილობრივ და ვერ შესრულდა.

- შესრულებულია სრულად - დაგეგმილი ღონისძიებების 90% ან მეტი შესრულებულია;
- შესრულებულია მეტწილად - დაგეგმილი ღონისძიებების 60% ან მეტი შესრულებულია;
- შესრულებულია ნაწილობრივ - დაგეგმილი ღონისძიებების 30% ან მეტი შესრულებულია;
- ვერ შესრულდა - დაგეგმილი ღონისძიებების 30-ზე ნაკლები შესრულდა.

შეფასებების შეჯამება

ქუთაისის უნივერსიტეტმა 2023 წლის საანგარიშო პერიოდში დასახული მიზნების მიღწევას წარმატებით გაართვა თავი, ამოცანების უმეტესი ნაწილი სრულად, მეტწილად ან ნაწილობრივ არის შესრულებული, ასევე გამოიკვეთა გასაუმჯობესებელი მხარეებიც.

ღონისძიებების შესრულების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში 9 ამოცანა სრულად შესრულდა, 11 მეტწილად, ხოლო 4 ნაწილობრივ, ვერ შესრულდა მხოლოდ 1.

ვერ შესრულებული ღონისძიებები უნივერსიტეტის ახალი პროგრამების სააკრედიტაციოდ წარდგენას შეეხებოდა. ეს საკითხები უნივერსიტეტის მიერ მნიშვნელოვან პრიორიტეტებად განისაზღვრა 2024-2025 წლის სანგარიშო პერიოდის დაგეგმვისას.

ძალიან კარგი ტენდენცია შეინიშნება როგორც ქართველი ასევე უცხოელი სტუდენტების რაოდენობების ზრდის ნაწილში, კერძოდ: უცხოელი სტუდენტების წილი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 84%, ქართველი სტუდენტების კი 113%, საერთო წილი ორივე ქართველი და უცხოელი სტუდენტების 94,93% არის გაზრდილი. ამდენად, უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტების მოზიდვის ნაწილში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები შეიძლება შეფასდეს ეფექტურად.

სტრატეგიული მიმართულება 1.

უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება;

უნივერსიტეტის ცნობადობის და მის მიმართ ნდობის ამაღლება

- ✓ 2023 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით ვებგვერდი ახლდებოდა მუდმივ რეჟიმში, შეიცვალა და დაიხვეწა საიტის ვიზუალური იერსახე, განახლდა შინაარსობრივად. კვარტლურად (მიმიდნარე წლის პერიოდში) ვებ გვერდზე განთავსდა 150 მდე ნიუსი (ახალი ამბავი), რომელიც ავტომატურად ზიარდებოდა უნივერსიტეტის ოფიციალურ სოციალურ ქსელებში. მაქსიმალური, უნიკალური მომხმარებლების რაოდენობა რომელიც ვებ გვერდზე ახალ ამბავს ეცნობა მიმდინარე კვარტალში იყო 3200 მომხმარებელი. 2. ვებ გვერდი იუზერ ფრენდლია, დიფერენცირებულია ყველა მენიუ, ყველა სიახლე თემატიკის მიხედვით. 3. უნივერსიტეტის ფესბუქ გვერდმა მიაღწია18570 მოწონებას და 19411 გამომწერს სექტემბერ - ნოემბრის ანგარიშის შედეგად ჩვენმა ნიუსების (ახალი ამბავი) საერთ რიჩმა მიაღწია 175000 ადამიანს, ხოლო ინსტაგრამის საერთო რიჩმა შეადგინა 3200 ადმიანი.
- ✓ სისტემატურად ხორციელდებოდა მედია და ონლაინ სივრცეში უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებების გაშუქება და აქტივობების წარმოჩენა. ამოცანების ფარგლებში უნივერსიტეტში რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა დაიგეგმა და განხორციელდა. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტი ფართოდ იყო წარმოდგენილი ონლაინ და ტელემედიაში, როგორც რეგიონალური ასევე სახელმწიფოს საკომუნიკაციის არხების მეშვეობით. (სულ 13 ინფორმაცია)
- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტისა და აფილირებული კლინიკის "დას. საქართველოს თანამედროვე ტექნოლოგიების" ორგანიზებით საფუძველი ჩაეყარა სამედიცინო გადაცემას. 2023 წელს ჩაიწერა 4 გადაცემა

უნივერსიტეტისთვის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში უნივერსიტეტმა შეასრულა შემდეგი სახის ღონისძიებები:

- ✓ 2023 წლის განმავლობაში უნივერსიტეტმა პარტნიორ ორგანიზაციებს შესთავაზა შემდეგი ტრენინგები:
    - მომხარებლების კმაყოფილების კვლევა;
    - ბაზრის კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგია;
    - მედიაცია ბიზნესისთვის.

- ✓ უწყვეტი განათლების ფარგლებში მოხდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგთა პროფესიული გაძლიერება.

- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტმა მემორანდუმი გააფორმა ავტორიზებულ სახელმწიფო საგანამანათლებლო დაწესებულება კოლეჯ „იბერიასთან“ სადაც მოხდება კოლეჯის სტუდენტებისთვის ჩინური ენის უფასოდ შესწავლა.
- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტმა გააფორმა მემორანდუმი სკოლა „პროგრესთან“, სადაც მოხდება ასევე ჩინური ენის სწავლების შეთავაზება სკოლის მოსწავლეებისათვის.
- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტმა პროექტ ჟან მონეს ფარგლებში მოახდინა სკოლის მოსწავლეებისთვის უფასო ზამთრის და ზაფხულის სკოლებში მონაწილეობის შეთავაზება, საერთო ჯამში აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს 50 მდე ქუთაისის და იმერეთის რეგიონების სკოლების მოსწავლეებმა.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა/ჩაიწერა:

- ✓ უნივერსიტეტი სისტემატურად ახორციელებდა თავის სივრცის დათმობას რეგიონში არსებულ ორგანიზაციებისათვის, ასევე ხდებოდა წლის განმავლობაში საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების მოწვევაც, რომლებიც ატარებდნენ სხვადასხვა სახის შეხვედრებს, ვორკშოპებს, თავიანთი წიგნების პრეზენტაციებს, ტრენინგებს და სხვა, როგორც უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ასევე ყველა დაინტერესებული პირთათვის ქუთაისში და რეგიონში.

- ✓ 2023 წელს ქუთაისის უნივერსიტეტმა მოსწავლეთა ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადას უმასპინძლა. ოლიმპიადაში მონაწილეობა 72-მა მოსწავლემ მიიღო, მათ შორის 37-მა საქართველოდან, 35-მა კი უკრაინადან. ოლიმპიადა ალგორითმული ტურის სახით ჩატარდა. პირველი ხარისხის დიპლომი გადაეცათ ლუკა შვანგირაძეს და ნინი კუჭავას.

კონფუცის ჩინური ენის კლასის განვითარება

- ✓ 2023 წელს მომზადდა ჩინური ენის სასწავლო კურსები, მიმდინარეობს ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაში ჩინური ენის, როგორც სასწავლო კურსის დამატება;
- ✓ კონფუცის კლასის ორგანიზებით განხორციელდა ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის ვიზიტი ჩინეთის სახალახო რესპუბლიკაში, ჩვენს პარტნიორ სინძიანის უნივერსიტეტში;
- ✓ უახლოეს პერიოდში იგეგმება ორივე უნივერსიტეტის მიერ კვლევითი პროექტების განხორციელება;
- ✓ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები (Dragon Boat Festival,Mid-Autumn Festival), სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ უნივერსიტეტის სტუდენტები და კონფუცის კლასის მოსწავლეები;
- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტის კონფუცის კლასის დირექტორები და პედაგოგი მიწვეული იყვნენ „თავისუფალ“ და „ალტა“ უნივერსიტეტებში საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად;
- ✓ საანგარიშო პერიოდში მოხდა „ქუთაისის უნივერსიტეტში“„ალტე უნივერსიტეტის“ დელეგაციის სტუმრობა;
- ✓ კონფუცის კლასისთვის ახალი კომპიუტერების და სხვადასხვა ტექნიკის შეძენა;

- ✓ გამოცხადდა ახალი ჯგუფების მისაღებად რეგისტრაცია, რომლებიც სწავლას ოქტომბრის თვიდან შეძლებენ და სხვა.

ადგილობრივი აბიტურიენტების/სტუდენტების მოზიდვა

- ✓ სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ განხორციელდა იმერეთის და ქუთაისის საჯარო სკოლების მე-11-12 კლასელი მოსწავლეების კვლევა. კვლევა დაეხმარება მარკეტინგის სამსახურს ადგილობრივი სტუდენტების მოთხოვნების იდენტიფიკაციაში და შესაბამისად მათ მოზიდვაში.
- ✓ 2023 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურმა განხორციელდა პირველკურსელი სტუდენტების აზრის კვლევა.

ამოცანა 4. საერთაშორისო აბიტურიენტების/სტუდენტების მოზიდვა

- ✓ საერთაშორისო აბიტურიენტების/სტუდენტების მოზიდვის მიზნით რეკრუტირების ახალი შესაძლებლობები მოიძებნა ინდოეთში, ამ მიზნით სამიზნე ქვეყნებში სამუშაო ვიზიტებიც განხორციელდა. საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულებები ახალ საერთაშორისო აგენტებთან.
- ✓ უნივერსიტეტის რექტორი და მედიცინის ფაკულტეტის დეკანი სისტემატიურად ესწრებოდნენ უცხოეთში გამართულ გამოფენებს, როგორიც იყო: ინდოეთში ქალაქ დელიში საქართველოს საელჩოს მიერ ორგანიზებული გამოფენა (დეკემბერი), ასევე ინდოეთის ქალაქ ჩენაის საერთაშორისო გამოფენები და სხვა.

სტრატეგიული მიმართულება 2.

უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება;

უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უზრუნველყოფა

- საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის სამაგისტრო საგანმნათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია, ანგარიშით; კლასტერის ვადით 2024 წლამდე;
- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა უპირობო აკრედიტაცია 7 წლის ვადით;
- განათლების ხარისხის გავითარების ეროვნულ ცენტრში გაიგზავნა ეკონომიკისა და დიპლომირებული მედიკოსის აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაიგზავნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შემოწმების მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში;
- შემუშავდა და განათლების ხარისხის ერონულ ცენტრს წარედგინა მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით დადგენილ მოთხოვნებთან შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის სამოქმედო გეგმა.

არსებული პროგრამების უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფა

- ✓ პროგრამების მნიშვნელოვან ნაწილში შევიდა გარკვეული ცვლილებები, რაც გამოწვეული იყო ხარისხის გარე უზრუნველყოფის ფარგლებში, აკრედიტაციის ექსპერტებისა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციებით, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებით დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე და სხვა მნიშვნელოვანი მიზეზებით. პროგრამის ნაწილში ასეთი საჭიროებები არ გამოკვეთილა. ღონისძიება შეფასდა როგორც სრულად შესრულებული, ვინაიდან დადგენილი სამიზნე ნიშნულები მიღწეული იქნა და დადებითად შეფასდა პროგრამების განახლების მიზნით გაწეული სამუშაოები.
- ✓ 2023 წლის საანგარიშო პერიოდში განხორციელდა უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებით სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით შეფასება. შეფასების პროცესში გამოვლინდა რამდენიმე სასწავლო კურსის ფარგლებში , სამიზნე ნიშნულების გადაცდომა, საგანმანათლებლო კომიტეტების გადაწყვეტილებით ცვლილებების განხორციელებისთვის მნიშნელოვანია პროცესებზე დინამიკაში დაკვრვება და გამოვლენილი ნიშნულთა დარღვევის შემთხვევაში განხორციელდება მიზეზების დადგენა და შესაბამისი რეაგირებები.

- ✓ საანგარიშო პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა ქუთაისის უნივერსიტეტში არსებული ყველა მოქმედი საგანამანათლებლო პროგრამის დაინტერესებული მხარეების მიერ შეფასება. მიღებული შეფასებების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების ასახვა პროგრამებში დაგეგმილია 2023/24 აკადემიურ წლებში.

ახალი პროგრამების შემუშავება და აკრედიტაცია

- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურები აქტიურად მუშაობენ ახალი პროგრამების შემუშავებას და აკრედიტაციის პროცესებზე, უნივერსიტეტი გეგმავს უახლოს პერიოდში შემდეგი პროგრამების დამატებას:
    - ფსიქოლოგიის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა;
    - ინფორმატიკის ქართულ ენოვანი საბაკალავრო პროგრამა;

პროგრამების ინტერნაციონალიზაცია, უცხოენოვანი პროგრამების შემუშავება და დანერგვა

- ✓ უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობდა სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების შენარჩუნებისა და შეთავაზებების რაოდენობრივი ზრდის მიმართულებით, გაიზარდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების რიცხვი. საანგრიშო პერიოდში მობილობით გაემგზავრა 3 სტუდენტი. სტუდენტებმა აკადემიური მობილობით ისარგებლეს ტალინის ტექნოლოგიურ და რუმინეთის ტიმოშუერას სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

- ✓ უნივერსიტეტის სტუდენტები და ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალი არაერთ საერთაშორისო ღონისძიებაში იყვნენ ჩართული, კერძოდ:

    - 2023 წლის დეკემბის თვეში ჩატარდა შესარჩევი კონკურსი ერაზმუს+ საერთაშორისო ადმინისტრაციული/აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობისთვის ქუთაისის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალი შეირჩა. კონკურსის შედეგად, 2 აკადემიური და 2 ადმინისტრაციული გამარჯვებული პერსონალი გამოვლინდა. "ქუთაისის უნივერსიტეტის“ ადმინისტრაციული პერსონალი სამუშაო ვიზიტით შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაემგზავრა: ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (ესტონეთი) - თათია ხარაბაძე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; დიმიტრი კანტემირის ტარგუ მარეს უნივერსიტეტი (რუმინეთი) - თამარ პერტაია, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი. აკადემიური მობილობის ფარგლებში, პროფესორი ეკატერინე ვაწაძე აკადემიური ვიზიტით დიმიტრი კანტემირის ტარგუ მარეს უნივერსიტეტს ეწვია, ხოლო პროფესორ ქეთევან კუხიანიძეს ტალინის ტექნოლოგიურმა უნივერსიტეტმა უმასპინძლა.

- 2023 წლის მაისში ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტები თბილისში, ევროპის უნივერსიტეტში ვროცლავის ბიზნესის უნივერსიტეტის (პოლონეთი) პროფესორების მიერ წაკითხულ ლექციებს დაესწრნენ. ლექციის ბოლოს ყველა მონაწილე დასწრების სერტიფიკატით დაჯილდოვდა.

- 2023 წლის აგვისტოში ქუთაისის უნივერსიტეტის ოთხმა აკადემიურმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღო უკრაინის 'ეროვნული სამედიცინო უნივერსიტეტისა' და პოლონეთის 'გამოყენებით მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის' მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში სახელწოდებით "განათლების ხარისხის გაუმჯობესებასთან არსებული თანამედროვე გამოწვევები"

- 2023 წლის აგვისტოში ქუთაისის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ერთმა სტუდენტმა გაიარა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) ონლაინ სასერტიფიკატო კურსი სახელწოდებით "Meningitis: Introduction". აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა საგანამანათლებლო საერთაშორისო კურსის შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს რეგულარულად მიეწოდებოდათ.

- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ასევე ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ Erasmus+CBHE პროგრამის (EPSY- ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების შექმნა სტუდენტებისთვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო პოლონეთის ქალაქ ბუდგოცსშის სახელმწიფო უნივერსიტეტში და რუმინეთის ქალაქ ბრაშოვის უნივერსიტეტებში სამუშაო შეხვედრებზე.

✓ საერთაშორისო პარტნიორობის გაღრმავების მიზნით ქუთაისის უნივერსიტეტმა მემორანდუმი 7 ევროპულ უნივერსიტეტთან გააფორმა:

- ფილიპსის უნივერსიტეტი, კვიპროსი;
- PXL გამოყენებით მეცნიერებათა და ხელოვნების უნივერსიტეტი, ბელგია;
- ტიტუ მაიორესკუს უნივერსიტეტი რუმინეთი;
- პლოვდივის უსაფრთხოებისა და ეკონომიკის უმაღლესი სკოლა (ბულგარეთი);
- ვინიცია მიხაილო კოციუბინსკის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი (უკრაინა):
- პროფესიული კვლევების კოლეჯი - პროფესიული კვლევების საერთაშორისო ცენტრ ICEPS (სერბეთი):
- მუღლა სიტი კოჩმანის უნივერსიტეტი (თურქეთი)

✓ 2023 წელს სრულად დაფინანსებული მობილობის პროგრამით ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, ქუთაისის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის 3 სტუდენტი 2023-2024 წლის შემოდგომის ერთ სრულ სემესტრს ესტონეთსა და რუმინეთში გაატარებს. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სტუდენტები დაჩი კობახიძე და დავით გეგუჩაძე ტალინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში (ესტონეთი) გაემგზავრნენ. ხოლო ტურიზმის პროგრამის სტუდენტი გიორგი ხუციძე რუმინეთში, კერძოდ, ტიმიშოარას უნივერსიტეტში ისწავლის. აღნიშნული სტუდენტები ერაზმუს+ მობილობის პროგრამაში მონაწილეობას სრული დაფინანსებით შეძლებენ, რაც გულისხმობს უფასო სწავლას, მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებასა და ყოველთვიურ სტიპენდიას.

✓ საანგარიშო პერიოდში, ქუთაისის უნივერსიტეტი ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტების მობილობის პროგრამაში (KA171), რომელსაც გაცვლითი პროგრამების სახელით ვიცნობთ, ჩართო 24-მა უნივერსიტეტმა. ესენი არიან:

- მალაგას უნივერსიტეტი, ესპანეთიფა
- ტოკატ გაზიოსმანფაშას უნივერსიტეტი, თურქეთი
- ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ესტონეთი
- კაფკას უნივერსიტეტი, თურქეთი
- WSB უნივერსიტეტი, პოლონეთი
- პანტეოსის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა უნივერსიტეტი, საბერძნეთი
- ბრატისლავას კომენიუსის უნივერსიტეტი, სლოვაკეთი
- პანონიის უნივერსიტეტი, უნგრეთი
- Ctl ევროკოლეჯი, კვიპროსი
- C.D.A კოლეჯი, კვიპროსი
- ფილიპსის უნივერსიტეტი, კვიპროსი
- ლუსიან ბლაგას სიბიუს უნივერსიტეტი, რუმინეთი
- PAR საუნივერსიტეტო კოლეჯი, ხორვატია
- ვარნას ეკონომიკის უნივერსიტეტი, ბულგარეთი

- გამოყენებით მეცნიერებათა კოლეჯი „ლავოსლავ რუჟიჩკა“ ვუკოვარში, ხორვატია
- ტიტუ მაიორესკუს უნივერსიტეტი, რუმინეთი
- სილეზიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, პოლონეთი
- ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, ავსტრია
- ვროცლავის ბიზნესის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, პოლონეთი
- ISMA უნივერსიტეტი, ლატვია
- შიაულიაის უმაღლესი სახელმწიფო სასწავლებელი, ლიტვა
- კონსტანტინე ფილოსოფოსის სახელობის უნივერსიტეტი ნიტრაში, სლოვაკეთი
- კალისიას უნივერსიტეტი, პოლონეთი
- "გაბრიელ დ'ანუნციოს" უნივერსიტეტი ჩიეტი-პესკარა, იტალია (University “G. d’Annunzio” Chieti-Pescara, Italy)

✓ **ქუთაისის უნივერსიტეტი შეუერთდა ერაზმუს+ ინსტიტუციონალური განვითარების გრანტის ორ კონსორციუმს. შეტანილი იყო შემდეგი განცხადებები:**

- პროექტი „EHEDA” Erasmus+ KA2 პროექტის ფარგლებში მომზადდა (საპროექტო განაცხადი მომზადდა აზერბაიჯანის ლანკარანის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ); პროექტი "ESCALAGE", CBHE-ს მე-2 strand-თვის მომზადდა პადოვას სასწავლო უნივერსიტეტის მიერ (იტალია);
- ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ მომზადდა საპროექტო განაცხადი აშშ-ს საელჩოს მიერ გამოცხადებულ ინგლისური ენის ექსპერტთა პროგრამაში მონაწილეობისათვის. პროგრამა გამოცხადებული იყო უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციებისთვის. ინგლისური ენის ექსპერტთა პროგრამა საშუალებას აძლევს საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებს, უმასპინძლონ ამერიკელ სპეციალისტებს, რომლებიც უახლესი მეთოდოლოგიით, სრულ განაკვეთზე შეასწავლიან ინგლისური ენის საკომუნიკაციო უნარებქუთაისის

✓ **უნივერსიტეტმა განახორციელა და ახორციელებს ჟან მონეს მოდულის: ERASMUS-JMO-2022-HEI-TCH-RSCH; EUDigitFuture.**

- ზამთრის და ზაფხულის სკოლებს დაესწრო და სერთიფიკატები მიიღო, ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ასევე ქუთაისში არსებული საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებმა.
- სულ გაიცა 50 სერთიფიკატი.
- განხორციელდა ზამთრის და ზაფხულის სკოლების გახსნის და დახურვის ოფიციალური ცერემონიალი, რომლებსაც ესწრებოდნენ ნატოს და

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, მოწვეული ექსპერტები, ქუთაისის მერი და იმერეთის გუბერნატორი.

- განხორციელდა ჟან მონეს მოდულის ჩაშენება სასწავლო მოდულში.

სტრატეგიული მიმართულება 3.

სასწავლო პროცესის განვითარება და სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება.

სწავლა - სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების იმპლემენტაციის ხელშეწყობა

- ✓ საანგარიშო წელიწადში ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს საერთო ჯამში ჩაუტარდათ 13 ტრენინგი, დამსწრე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რიცხვი კი შეადგენს 97 პირს. მონაწილეებს გაეგზავნათ ელექტრონული სერტიფიკატები.
- ✓ მედიცინის ფაკულტეტისა და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ორგანიზებით ქუთაისის უნივერსიტეტი მასპინძლობდა ესპანეთიდან მოწვეულ ტრენერს პროფესორ ვიქტორ არჩეს, რომელმაც სამედიცინო განათლების თანამედროვე სწავლებისა და შეფასების მეთოდებში გადაამზადა მედიცინის ფაკულტეტის ფაკულტეტის 42 პერსონალი. ტრენინგების სერია რამოდენიმედ სესიად მიმდინარეობდა და გაიცა შესაბამისი სერთიფიკატი.



პრაქტიკული სწავლების ცენტრებისა და ლაბორატორების დაფუძნება და არსებულის განვითარება

- ✓ უნივერსიტეტის არსებული ლაბორატორიები განახლდა შესაბამისი მასალებით, ხელსაწყოებითა და მატერიალური რესურსებით.
- ✓ სამედიცინო კლინიკური ბაზების რაოდენობის გაზრდის მიზნით 2023 წელს ხელი მოეწერა შემდეგ მემორანდუმებს: 1. შპს ქუთაისი უნივერსიტეტსა და საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაცია; 2. კლინიკა "გიდი" ხოლო 3. შპს ხონელიძის კლინიკა 4. შპს კლინიკა-ლჯ, 5. შპს კლინიკა-ლჯ,კო , 6. შპს ქალთა ჯანმრთელობის ცენტრი ჰერა.
- ✓ გაფორმდა მემორანდუმები შემდეგ საჯარო და კერძო დაწესებულებებთან 1. ტურისტული კომპანია გუდ თრეველი, 2. მაზნიაშვილის ახალგაზრდული ლეგიონი,3. შპს კონსლატინგ ჯორჯიას 4. შპს ბიზნეს კონსლატინგ ქუთაისთან, ხოლო განახლდა მემორანდუმები შენმდეგ კომპანიებთან 1. სასტუმრო სოლომონი" 2. მოგზაურთა კლუბ "თეთნულდთან". 3. კოლეჯი იბერია. 4. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო.

აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის შესახებ ცნობიერების ამაღლება, დარღვევების გამოვლენა და პრევენციული მექანიზმების დანერგვა

- ✓ პლაგიატის ამომცნობი პროგრამული უზრუნველყოფა უნივერსიტეტის ორივე ფაკულტეტზე ფართოდ გამოიყენება, 2023 წელს მოხდა პლაგიატის იუზერების შექმნა ახალი აკადემიური პერსონლაისთვის. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსის სილაბუსებში, ასახულია აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის საკითხი, ხოლო სასწავლო კურსებში, სადაც შეფასების კრიტერიუმად მითითებულია: ესე, კვლევითი ნაშრომი და ა შ. ექვემდებარება უნივერსიტეტის ანტიპლაგიატი პროგრამაზე www.strikeplagiarism.com -ზე შემოწმებას, რაც უზრუნველყოფს პლაგიატის ამომცნობი პროგრამის სწავლების პროცესში აქტიურ გამოყენებას.

- ✓ "აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის პრევენციის კვირეულის" ფარგლებში, ქუთაისის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ ჩატარდა პოსტერების კონკურსები.
- ✓ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის საერთაშორისო სტუდენტებისთვის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა ჩაატარა შეხვედრა სტუდენტებთან ნაშრომების წერესთან დაკავშირებით თემაზე: how to write academic paper", რასაც 18 სტუდენტი ესწრებოდა.

სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება

- ✓ 2022-2023 აკადემიური წელს ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მიერ განხორციელდა შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურების მიხედვით სააუდიტორიო მუშაობების შეფასება.
- ✓ სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად, განხორციელდა საგამოცდო პროცესების შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება. გამოკითხვების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტების 80% მეტი კმაყოფილი იყო საგამოცდო პროცესებით.
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა, ფაკულტეტების აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების შეფასება, უნივერსიტეტთან თანამშრომლობით სრულ კმაყოფილებას გამოხატავს რესპონდენტთა 75,86%. ხოლო მათი 24,14% მეტწილად კმაყოფილია თანამშრომლობით. საერთო ჯამში რესპოდენთტა ზოგადი კმაყოფილება მაქსიმალური 5 ქულიდან 4.76 ქულით შეფასდა.
- ✓ სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ფარგლებში უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტთთან თანამშრომლობით სრულ კმაყოფილებას გამოხატავს რესპონდენტთა 60.00%. გამოკითხულთა 37.14% მეტწილად კმაყოფილია თანამშრომლობით, ხოლო 2.86%-სთვის კმაყოფილების ნიშნული საშუალოს უთანაბრდება. საერთო ჯამში უნივერსიტეტთან თანამშრომლობით რესპოდენთტა ზოგადი კმაყოფილება 5 ბალიან სკალაზე 4.57 ქულით შეფასდა.
- ✓ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლვევა, სტუდენტების მიერ ქუთაისის უნივერსიტეტის მიმართ ზოგადი კმაყოფილება მეტწილად დადებითად იქნა შეფასებული. რესპოდენტთა 42.31% ძალიან კმაყოფილებას აფიქსირებს, 19.23% მეტწილ კმაყოფილებას, რესპოდენტთა 29.92% ნაწილობრივ კმაყოფილია, მეტწილ უკმაყოფილებას გამოთქვამს 7.69%, ხოლო 3.85% ძალიან უკმაყოფილებას. ქუთაისის უნივერსიტეტის მიმარტ ზოგადი კმაყოფილება, 5 ბალიან სკალაზე 3.88 ქულით შეფასდა.
- ✓ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობა მიიღო 24-მა სტუდენტმა, მათი შეფასება თუ რამდენად კმაყოფილნი არიან ზოგადად უნივერსიტეტით ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტით კმაყოფილია რესპონდენტთა 41,67%, მეტწილად კმაყოფილია

33,33%, ნაწილობრივ კმაყოფილია - 20,83%, ხოლო 4,17% - ძალიან უკმაყოფილო. სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილება 5 ქულიან სკალაზე 4,08 ქულით შეფასდა.

- ✓ 2022-2023 აკადემიური წლის ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, განხორციელდა სტუდენტთა მიერ პრაქტიკის ობიექტის შეფასება. გამოკითხულთა 66,67% აფიქსირებს რომ, სრულად მიაღწია სასწავლო კომპონენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მხარდაჭერა

- ✓ საანგარიშო წლის განმავლობაში განხორციელდა:
    - ეფექტური სამოტივაციო წერილის მომზადების ორი მასტერკლასი, შეხვედრა განკუთვნილი იყო ორივე ფაკულტეტის სტუდენტებისთვის და შესაბამისად წარიმართა როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. მასტერკლასი ჯამში გაიარა 40-მდე სტუდენტმა.
    - სტუდენტების და კორსდამთავრებულების სერვისების სამსახურის ორგანიზებით განხორციელდა ინტერვიურების იმიტირებული პროცესები, რომლის განმავლობაში პირველ დღეს ჩატარდა საერთო ორენივანი ტრენინგი ეფექტური გასაუბრების ტექნიკების შესახებ (ეკა ვაწაძე და გურანდა გობიანი), ხოლო შემდეგ უნივერსიტეტში არსებული თითოეული სასწავლო პროგრამის სტუდენტებისთვის მოწვეული იყვნენ ქოუჩები სხვადასხვა პარტნიორი ორგანიზაციებიდან. მეორე დღეს კი თავად ინტერვიურების პროცესი წარიმართა, რომელსაც წარუძღვნენ დამსაქმებლები უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციებიდან, თითოეული სასწავლო პროგრამისთვის ინდივიდუალურად, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. ღონისძიებაში ჯამში მონაწილეობა მიიღო 60-მდე სტუდენტმა
- ✓ წლის განმავლობაში სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს მიეწოდათ ინფორმაცია დაახლოებით 32 პროფილური და ექსკლუზიური ვაკანსიის შესახებ დასაქმებისა და სტაჟირების მიმართულებით, ასევე ინფორმაცია 5 დასაქმების ფორუმის შესახებ.
- ✓ 2023 წელს 8 სტუდენტს გაეწია კონსულტაცია მათი კარიერული განვითარებისთვის.
- ✓ უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტების მხარდაჭერის ფსიქოლოგიური საკონსულტაციო ცენტრის მიერ საერთო ჯამში გაეწია კონსულტაცია 6 სტუდენტს.
- ✓ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის ორგანიზებით, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ჩატარდა გაცნობითი-საინფორმაციო შეხვედრები სამართლის პროფესიის სხვადასხვა წარმატებულ წარმომადგენლებთან, კერძოდ:
    - სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს უფროსი აღამსრულებელი
    - საქართველოს სახალხო დამცველის ქუთაისი ოფისის წარმომადგენელი
    - დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსი.

- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი
- სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორი
- ა(ა)იპ საფარის იმერეთის რეგიონის იურისტი.
- სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრის უფროსი
- საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარის მოადგილე;
- ქუთაისის საქალაქო სასამართლოში
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის სასამართლი-სამედიცინო ექსპერტი

სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა და სტუდენტური გუნდების გავითარება.

- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტებმა, უნივერსიტეტისა და პარტნიორი ორგანიზაციის თანამშრომლობის ფარგლებში მონაწილეობა მიიღეს ორ სამაგიდო თამაშების საქალაქო ტურნირზე. უნივერსიტეტში არსებობს შესაბამისი, სამაგიდო თამაშების მოყვარულთა კლუბი
- ✓ საუნივერსიტეტო ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ბორჯომში გამართულ ფესტივალზე "Winter Stars 2023". მიიღო მოწვევა იტალიის ფესტივალზე და დაიმსახურა თასი და დიპლომები
- ✓ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მხიარულთა და საზრიანთა რამდენიმე გუნდი რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს "სიცილის ლიგის" შესარჩევი ეტაპზე.
- ✓ უნივერსიტეტის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს უნივერსიტეტების სპორტული ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ფუტსალის ჩემპიონატზე
- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტთან არსებულმა ქართული ცეკვების ანსამბლმა, მონაწილოება მიიღო ყოველწლიურ ფესტივალზე "ტერფსიქორე 2023".

- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტთან არსებული ქართული ცეკვების ანსამბლი გაემგზავრა ევროპის ტურნეზე, სადაც მონაწილეობა მიღეს იტალიის, ბელგიის და სერბეთის საერთშორისო ფესტივალებზე. დაიმსახურეს თასი და დიპლომები

სტუდენტური ინიციატივების ფარგლებში:

- ✓ **გაზეთი "Ai Newspaper**
  - ქუთაისის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების მიერ გაზეთი "Ai Newspaper" გამოიცა.
  - გაზეთის მიზანია ხელოვნური ინტელექტის შესახებ საზოგადოების ცნობიერება გაზრდა.
  - საანგარიშო პერიოდში გამოიცა გაზეთის 2 ნომერი.

- ✓ **საუნივერსიტეტო მოდელის შექმნა**

  - ქუთაისის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინსიტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა შემოქმედებითი ლაბორატორიის Crealab-ის ფარგლებში მეტავერსში ქუთაისის უნივერსიტეტის მოდელი შექმნეს.
  - მეტავერსის ალტერნატიული რეალობის სივრცეში ათამდე ადამიანის ჩართვაა შესაძლებელი, რაც ლექციების ჩატარებას შესაძლებელს ხდის მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე.
  - Crealab-ის მოხალისეები აგრძელებენ არსებულ და ახალ ტექნოლოგიურ პროექტებზე მუშაობას.

- ✓ **პროექტი SPINNAKER- Brand Management on the International Market**
  - ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტებმა პროექტში SPINNAKER- Brand Management on the International Market მიიღეს მონაწილეობა, რომელიც 7 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით განხორციელდა.
  - პროექტში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანამანათლებლო პროგრამების სტუდენტებმა: დაჩი

კობახიძემ, თორნიკე კიკაჩეიშვილმა, მარი იონანიძემ და ალექსანდრე ბოხუამ.

- ქართველ სტუდენტებთან ერთად, პროექტში-SPINNAKER სხვადასხვა ქვეყნის 10 სტუდენტი მონაწილეობდა. პროექტი დაფინანსდა ევროკავშირის მიერ "ცოდნის, განათლების, განვითარების'' პროგრამის ფარგლებში, რაც მოიცავდა გამარჯვებული სტუდენტებისთვის სტიპენდიას 720 ევროს ფარგლებში.

სტრატეგიული მიმართულება 4.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია.

უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა და პერიოდული გადახედვა.

- ✓ უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ სრულად განახლდა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებისა და პოტენციალის შესახებ ინფორმაცია. უნივერსიტეტში ასევე განხორციელდა ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მიერ დეკლარირებული პრიორიტეტების დეკლარირებული ანალიზი და სამომავლო კვლევითი თემატიკა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრმა განსაზღვრა სამიზნე ნიშნულის შესაბამისად.

კვლევითი ინსტიტუტების დაფუძნება/განვითარება და ინტერნაციონალიზაცია

- ✓ **ჟურნალ „ეკონომიკური პროფილის“ საქმიანობა 1.09.2022-1.09.2023**

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სტამბური წესით გამოიცა საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალის „ეკონომიკური პროფილი“ (ISSN3 1512-3901, eISSN 2587-5310) ორი ნომერი: ტომი 17, N2/24 (http://economicprofile.org/journal/1023) და ტომი 18, N 1/25 (http://economicprofile.org/journal/1024), რომელიც განთავსდა ჟურნალის ვებგვერდზე. მათში გამოქვეყნდა ქართველი და უცხოელი მკვლევარების 28 სამეცნიერო სტატია და ახალ გამოცემებზე სამი გამოხმაურება. თითოეულ სტატიას მიენიჭა DOI პრეფიქსი და განთავსდა შესაბამის ბაზებში.
- დაიხვეწა და დაზუსტდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გამოქვეყნების პროცედურა, რომელიც ითვალისწინებს გამოქვეყნების ეტაპებსა და ვადებს, რაც აისახა ჟურნალის ვებგვერდზე (http://economicprofile.org/page/1016). მოხდა ჟურნალის ჩართვა სოციალურ ქსელში საკუთარი ვებმისამართით (https://www.facebook.com/EconomicProfileUnik/).
- სარედაქციო კოლეგიის უცხოელ წევრებს დაემატა ვილნიუსის უნივერსიტეტის (ლიეტუვა) პროფესორი გინდრუტ კასნაუსკიენე.
- საანგარიშო პერიოდის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ჟურნალის ჩართვას საერთაშორისო ბაზებში, ჟურნალში გამოქვეყნებული კვლევების ხილვადობის და გავლენის გაზრდისათვის.
- 2022 წლის სექტემბერში ჟურნალი ინდექსირების ახალ/საერთაშორისო მონაცემთა ბაზაში, “Dimensions“-ში დარეგისტრირდა https://app.dimensions.ai/discover/publication?fbclid=IwAR2Wyz3Pl2VvoiFmLqExiD5cPrRNEPFQ0eaNbxMhkQz-FPBRxkhXepOVNJo
- 2022 წლის ოქტომბერში ჟურნალი ინდექსირების საერთაშორისო ბაზაში - CiteFactor-ში დარეგისტრირდა https://www.citefactor.org/journal/index/29569/economic-profile?fbclid=IwAR2_mobiA7GdNDkUR4TlKlJpv2G7C1KbaPsNoBp0UeXED01KQe6PtTNN5-c#.Yw3DFHZBzIU
- 2022 წლის ნოემბერში ჟურნალი ინდექსირების საერთაშორისო მონაცემთა ბაზაში Directory of Research Journals Indexing (DRJI) დარეგისტრირდა http://olddrji.lbp.world/JournalProfile.aspx?jid=2587-5310
- 2023 წლის იანვარში ჟურნალმა გერმანულ ბაზაში ADVANCED SCIENCES INDEX (ASI) წარმატებით გაიარა რეგისტრაცია (https://journal-index.org/index.php/asi/article/view/33851)
- მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ 2023 წლის ივნისში ჟურნალს ევროპის საცნობარო ინდექსი ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებებისთვის ERIHPLUS (European Reference Index) მიენიჭა. https://kanalregister.hkdir.no/publiseringskanaler/erihplus/periodical/info?id=505519&fbclid=IwAR2vRKjpYBvxHjWpN7ugKcxjrmCakeqXiGse1yNp0LrEWYXQ58I8voRPuO0
- 2023 წლის აგვისტოში ჟურნალი IP indexing-მა ინდექსირებული ჟურნალების ნუსხაში შეიყვანა ინდექსი მიანიჭა (IPI Value: 2.58).

- ✓ 2023 წელს ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტის მიერ შოთა რუსთაველის ფონდში დასაფინანსებლად წარადგინა პროექტი „ადამიანური კაპიტალის პრობლემები საქართველოში და მათი გავლენა ეკონომიკურ ზრდასა და ინსტიტუციონალურ განვითარებაზე“. პროექტის ღირებულა არის 116350.00 ლარი და დაფინანსების შემთხვევაში პროექტის ხანგძლივობა იქნება 2 წელი.
- ✓ საანგარიშო პერიოდში 2023 წელს კვლევითი ინსტიტუტის მიერ არ მომზადებულა და არ წარდგენილია პროექტი საერთაშორისო პარტნიორებთან კოლაბორაციით.
- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტში, ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით, აკადემიური პერსონალის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში გამოცემული წიგნების პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიება ქუთაისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ჰიბრიდულ რეჟიმში ჩატარდა.
- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტის ეკონომიკის კვლევითმა ინსტიტუტმა პანელური დისკუსია - "საქართველოს საგარეო ვაჭრობის ტენდენციები და გამოწვევები “გამართა. პანელურ დისკუსიაში როგორც ქუთაისის უნივერსიტეტის, ისე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, "ევროპის უნივერსიტეტის", აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მონაწილეობდა. დისკუსია ჰიბრიდულ რეჟიმში მიმდინარეობდა.

კვლევითი საგრანტო პროექტების ინიცირების ხელშეწყობა

- ✓ საანგარიშო პერიოდში სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის მხრიდან დამტკიცდა, ფაკულტეტის კვლევითი მიმართულებები JEL კლასიფიკატორის მითითებით:
    - R 11_ Regional Economic Activity: Growth, Development, Environmental Issues and Changes; რეგიონული ეკონომიკა: ზრდა, განვითარება გარემო საკითხები და ცვლილებები;
    - D 91_Micro- Based Behavioral Economics; Role and Effects of Psychological, Emotional, Social and Cognitive Factors on Decision Making. მიკრო- ქცევითი

ეკონომიკა: როლი ეფექტი გადაწყვეტილების მიღებაზე მოქმედი ფსიქოლოგიური, ემოციური სოციალური და კოგნიტიური ფაქტორები

- O 15_ Economic Development: Human Resources, Human Development, Income Distribution Migration. ეკონომიკური განვითარება: ადამიანური რესურსები, ადამიანური განვითარება,შემოსავლების გადანაწილება და მიგრაცია. ფაკულტეტის დეკანის წარდგილებით შემფასებელმა კომისიამ გამოავლინა ერთი გამარჯვებული, რომლებთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.

- ✓ საანგარიშო წელს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრმა განხორციელდა 2 შეხვედრა კერძოდ: 2023 წლის 16 თებერვალი - 23 მარტის პერიოდში აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა 20 საათიანი ტრენინგი "სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავება და ანალიზი R-ის გარემოში", რომელსაც უძღვებოდა CRRC-საქართველოს კვლევების დირექტორი, დავით სიჭინავა.
- ✓ 2021 წლის განმავლობაში ელ. ფოსტის მეშვეობით აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და მეცნიერ-თანამშრომლებთან ჯამში სულ გაზიარდა 44 ინფორმაცია.
- ✓ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 3 ონლაინ ვორქშოპი თემებზე:
  - "ღია მეცნიერების პრინციპები";
  - "აკადემიური თავისუფლება";
  - "მენტორობა და სამეცნიერო ხელმძღვანელობა“

კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართვის წახალისება, ხელშეწყობა და შედეგების გაზიარება

- ✓ ქუთაისის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტთა რიგით მე -19 სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. მასში როგორც ქუთაისის უნივერსიტეტის, ასევე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა.

  კონფერენციის ფარგლებში მომხსენებლებმა პრეზენტაციები ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართულებით არსებულ აქტუალურ საკითხებზე წარადგინეს. კონფერენციის ფარგლებში დაიბეჭდა მომხსენებელთა აბსტრაქტების კრებული. კონფერენციის დახურვისას მონაწილე სტუდენტებს სერტიფიკატები გადაეცათ.

- ✓ საანგარიშო პერიოდში ქუთაისის უნივერსიტეტში ჩატარდა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთა კონფერენცია - „The 2nd Students' Medical-Scientific Conference“, სადაც წარმოდგენილ იქნა მედიცინის დარგში არსებული აქტუალური თ ემები.

  სტუდენტთა მიერ ჩატარებულმა კვლევებმა და პრეზენტაციებმა, როგორიც არის: "Anti-Inflammatory Effects of Melatonin: Review of clinical trials", " Androgen Insensitivity Syndrome" Somnambulism".

სტრატეგიული მიმართულება 5.

უნივერსიტეტის რესურსების განვითარება და ეფექტიანი მართვა.

ორგანიზაციის მართვა

- ✓ საანგარიშო პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული შესაბამისის კითხვარის გამოყენებით განხორციელდა ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 25-მა ადმინისტრაციულმა პერსონალმა, რაც კვლევის წარმოების პერიოდში უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პოზიციებზე დასაქმებულთა 47% შეადგენს. უნივერსიტეტთან პერსონალის თანამშრომლობის ზოგადი კმაყოფილების კვლევისას დაფიქსირდა შემდეგი შედეგები: კერძოდ, რესპოდენტთა 36.00% ძალიან კმაყოფილია, 48.00% გამოთქვამს მეტწილ კმაყოფილებას, 12.00% აფიქსირებს ნაწილობრივ კმაყოფილებას უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, 4.00% მეტწილ უკმაყოფილებას. საერთო ჯამში, აღნიშნული საკითხი 5 ბალიან სკალაზე 4.16 ქულით შეფასდა.
- ✓ უნივერსიტეტის ვაკანტურ პოზიციებზე გაზრდილი იყო მომართვიანობის მაჩვენებელი, თუმცა ამასთანავე 2023 წლის პერსონალის გადინების წლიური მაჩვენებელი წარმოაგენდა 12,72%.
- ✓ 2023 წელს უნივერსიტეტის ორგანიზაციული კულტურის განვითარებისთვის სისტემატიურად ხორციელდებოდა შემდეგი ღონისძიებები:
    - თანამშრომელთა მატერიალური და არამატერიალური წახალისება - წარმატებული თანამშრომლებისთვის მადლობის სიგელების, სიმბოლური საჩუქრების და პრემიების გადაცემა.

- სხვადასხვა დღესასწაულების, დაბადეების დღეების და პროფესიული დღეების მილოცვა. (2022 წლის მაისის თვიდან ხორციელდება თანამშრომლების დაბადების დღისათვის ვაუჩერების გადაცემა)
- თანამშრომლებისთვის ბრენდირებული საჩუქრების გადაცემა.
- 2022-2023 წლების შედეგების შედეგად წარმატებულ ადმინისტრაციის თანამშრომლებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო (პრემია) წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, პერსონალის ორგანიზაციული კულტურის მიმართ კმაყოფილების მაჩვენებელი 2023 წლის განმავლობაში არის 84%, რაც არ აღემატება სამიზნე ნიშნულით დადგენილ ჭერს (80%-ს).
- განახლდა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების, შინაგანაწესის, თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების, პერსონალის შერჩევის წესის დოკუმენტები.
- მოხდა სტუდენტურ ბაზებში სხვადასხვა მოდულების ჩაშენება (დაზღვევის მოდული, ხარისხის მოდული, ბიბლიოთეკის მოდული და ფინანსური მოდული)